ხელშეკრულება № 65

ქ. თბილისი 5 მაისი 2023 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი მისი დირექტორის კარლო (კახა) სიხარულიძის სახით (შემდგომ -„კინოცენტრი") და მეორე მხრივ შპს „პრემიუმპრინტი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ სამჭკუაშვილის სახით (შემდგომ - „შემსრულებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1.წინამდებარე ხელშეკრულებით „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას გადასცეს „კინოცენტრს“ საკუთრების უფლება 300 ცალ ორმხრივ სავიზიტო ბარათზე (CPV30199730) (შემდეგში „საქონელი").

1.2. 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „საქონლის“ შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატერების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე, მონეტარული ზღვრების დაცვით, დაფინანსების წყარო – 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს – 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების და საქონლის მიწოდების ხარჯის გათვალისწინებით.

3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1„მიმწოდებელი“ პასუხისმგებელია მიწოდებული „საქონლის“ ხარისხზე.

3.2„მიმწოდებელი“ ვალდებულია „საქონელი“ მიაწოდოს „კინოცენტრს“ 2023 წლის 12 მაისის ჩათვლით.

3.3„კინოცენტრი“ ვალდებულია „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება „მიმწოდებლის“ განხორციელდება ლარებში.

4.2.ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან ან/და „კინოცენტრისთვის“ ანგარიშ-ფაქტურის, ან სასაქონლო ზედნადების გადაცემიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

4.3.ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება „მიმწოდებლის“ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

5. ხელშეკრულების მიღება-ჩაბარების წესი

5.1„კინოცენტრის” მიერ „საქონლის” მიღება ხდება „მიღება–ჩაბარების“ აქტის გაფორმებისა ან/და „კინოცენტრისთვის“ ანგარიშ-ფაქტურის, ან სასაქონლო ზედნადების გადაცემის შემდეგ.

6.ხელშეკრულების ვადა

6.1.ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ელექტრონული შტამპით/ხელმოწერის დამოწმების/დადასტურების დღიდან და ძალაშია 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

6.2„საქონლის" მიღების ადგილია კინოცენტრი, სანაპიროს ქუჩა 4, მე-4 სართული.

7. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

7.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება პირგასამტეხლოს სახით, კერძოდ: შეუსრულებელი ვალდებულებების 0.01%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

8. ფორს-მაჟორი

8.1ხელშეკრულების მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელიც სცილდება მხარეთა კონტროლს და რომლის მოქმედებაც არ არის დამოკიდებული ერთ-ერთი მხარის ნებაზე.

8.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1. „კინოცენტრი“ უფლებამოსილია „საქონლის“ მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული „საქონლის“ შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „კინოცენტრის“ მოთხოვნებთან.
9.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის, ან დეფექტის შესახებ „კინოცენტრი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „შემსრულებელს“ დაწუნებული „საქონლის“ რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
9.3 გამოვლენილი დეფექტის, ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „შემსრულებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.4.კონტროლს ხელშეკრულების შესრულებაზე განახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ბეჭდური და ინტერნეტ გამოცემების მენეჯერი ნათია კანთელაძე.

10. დავა

10.1. მხარეებს შორის დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.
10.2.მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლო წესით.

11. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

11.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული „საქონელი“ არ იქნება დაზიანებული და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა და ცვლილებების შეტანა

12.1.ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული, ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
12.2.ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვადებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს.
12.3.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.4.ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
12.5. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ანდა მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.
12.6.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
12.7. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება ხელმოწერილია „ელექტონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
13.2.წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

14. მხარეთა რეკვიზიტები

„კინოცენტრი"
ქ. თბილისი 0105
სანაპიროს ქ. № 4
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა 708067519
ს/კ №204425121

დირექტორი

კარლო (კახა) სიხარულიძე

„შემსრულებელი"
შპს „პრემიუმპრინტი“
ქ. თბილისი 0105
კოტე აფხაზის ქ.№17
ს/კ № 404567982
სს „თიბისი ბანკი“
ა/ა № GE74TB7751136080100007
ბ/კ. TBCBGE22
დირექტორი

Nikoloz Samtchkuashvili 12002000076 Digitally signed by Nikoloz Samtchkuashvili Date: 2023.05.05 11:52:18

ნიკოლოზ სამჭკუაშვილი

LEPL GEORGIAN NATIONAL FILM CENTER Digitally signed by LEPL GEORGIAN NATIONAL FILM CENTER Date: 2023.05.05 12:44:00 +04'00'